



პროგრამაზე მიღების წინაპირობებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია

ციფრული ლოგისტიკის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი აპლიკანტი უნდა ფლობდეს ბაკალავრის ხარისხს საინჟინრო ან მეცნიერების სფეროში ან ქონდეს სფეროსთან დაკავშირებული გარკვეული ცოდნა (მაგ. წარმოების ლოგისტიკაში, წარმოების ან საწარმოს დაგეგმვაში, მექანიკის ან წარმოების ინჟინერიაში). სხვა სპეციალობის კურსდამთავრებულებმა უნდა დაადასტურონ რომ შესწავლილი აქვთ შესაბამისი შინაარსის სასწავლო კურსები. აღნიშნული კურსების შესაბამისია, თუ ისინი მოიცავენ მინიმუმ შემდეგ ხუთ საგანს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან - სამი საგანი A და ორი საგანი B ნაწილიდან.

(A) ლოგისტიკა და მიწოდების ჯაჭვი

- ინჟინერიის (ტექნიკის) საფუძვლები
- წარმოების დაგეგმვა/კონტროლი/წარმოების ლოგისტიკა/საწარმოს დაგეგმვა/ხარისხის მართვის საფუძვლები
- ლოგისტიკისა და მიწოდების ჯაჭვის საფუძვლები
- მატერიალური ნაკადების ტექნოლოგიები/მატერიალური ნაკადების დაგეგმვა
- ტრანსპორტირება და დასაწყობება
- ინტერმოდალური სატრანსპორტო ქსელები
- სატრანსპორტო სისტემები/ტრანსპორტის ინჟინერია/ტრანსპორტის დაგეგმვა/სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა
- სატვირთო და მგზავრთა გადაყვანის ლოგისტიკის სისტემები
- ბიზნესისა და ეკონომიკის საფუძვლები/ბუღალტერია/კონტროლინგი
- წრფივი ოპტიმიზაცია (ოპერაციების კვლევა)

(B) გამოყენებითი კომპიუტერული მეცნიერებები

- მონაცემთა სტრუქტურები, ალგორითმები და პროგრამირება
- კომპიუტერული ქსელები და განაწილების სისტემები
- კომპიუტერული მეცნიერების საფუძვლები
- მონაცემთა ბაზები (cloud), ვებ ტექნოლოგიები
- საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
- ინფორმაციის უსაფრთხოება, კრიპტოგრაფიკის პროცედურები
- მონაცემთა დაცვა, ინფორმაციასთან დაკავშირებული უფლებები

აპლიკანტის სფეროსთან დაკავშირებული ცოდნა შემოწმდება საერთო აკადემიური კომისიის მიერ, რომელიც შედგება TH Wildau-ს და კავკასიის უნივერსიტეტის წარმომადგენლებისგან.

იმ უნივერსიტეტების კურსდამთავრებულების აკადემიური ხარისხი, რომლებიც არ იყენებენ ECTS კრედიტების სისტემას შემოწმდებიან ინდივიდუალურად, რათა დადგინდეს მათი შესაბამისობა მოთხოვნებთან. აღნიშნული შესაბამისობა ასევე გადამოწმდება ერთობლივი აკადემიური კომისიის მიერ.

აპლიკანტებმა უნდა დაადასტურონ ინგლისური ენის ზეპირი და წერილი კომპეტენცია TH Wildau-ში მიღების წინაპირობებში გათვალისწინებული ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნების შესაბამისად. გერმანული ენის ცოდნა სავალდებულო არ არის.

ტრანსპორტში, ლოგისტიკაში ან მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტში ერთწლიანი პროფესიული გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად.